

## იანი ვე (პეიპარი)

### ბუჩქლზე შესრულება და „პუნებრივი“ ჰარმონიის იდეა აღვურ მუსიკაში

ბუჩქლი ალპპორნის (ალპური ქარახსის) მოკლე, საყვირისმაგვარი ვარიანტია, რომელიც ძირითადად ცენტრალური შვეიცარიის ალპურ რეგიონსა და მის მეზობელ ტერიტორიებზეა გავრცელებული. სახელის წარმოშობა გაურკვეველია. შესაძლო ეტიმოლოგიური ფუძეა ლათინური *bucina* — გრძელი, ნაკეცებიანი ლითონის საყვირი, რომელიც რომაულ ჯარში გამოიყენებოდა. მსგავსი სახელწოდების საყვირები და ქარახსი სხვა რეგიონებშიც არსებობს. ასეთ ინსტრუმენტებს, ძირითადად, ცერემონიალების დროს იყენებდნენ. თუმცა, ალპურ რეგიონში ისინი, საგარაუდოდ, მწყემსთა კომუნიკაციისა და პირუტყვის მოხმობის საშუალება იყო. ალპპორნთან შედარებით, ბუჩქლი ყოველთვის შედარებით არაპოპულარული რჩებოდა და ბოლო ათწლეულების განმავლობაში თითქმის გაქრა ყოფიდან. ამ ინსტრუმენტმა ვერასოდეს დაიმკვიდრა ის ადგილი კულტურულ მემკვიდრეობაში, რაც ალპურ ქარახსას ჰქონდა ტურიზმში მისი როლიდან გამომდინარე (Jones, 2018). ბუჩქლი ხის საყვირია ხვრელებისა და სარქვლების გარეშე, რომელზეც ბგერები მხოლოდ გადაბერვის საშუალებით მიიღება. მის ბგერათრიგს (მაგ. 1) „ბუნებრივის“ უნიფერს (Hirt, 2017a:10). გერმანულად და კიდევ რამდენიმე ენაზე მას მოიხსენიებენ, როგორც „Naturtonreihe“.<sup>1</sup>

2015–2018 წლებში ჩვენ მოგვეცა საშუალება, გვენარმოებინა კვლევები ალპპორნისა და ალპურ იოდლს შორის კავშირების დასადგენად (Ammann et al., 2019), რის შედეგადაც მივაკვლიეთ ბუჩქლთან დაკავშირებულ მუსიკალურ წყაროებს. 2019 წლიდან, ალპპორნის შემდგომი აკადემიური კვლევის დროებითი შენვეტის გამო, მე, როგორც შემსრულებელმა, ყურადღება მივმართე ბუჩქლის მუსიკის განვითარებისა და გავრცელებისაკენ.<sup>2</sup> გარდაუვალია წინააღმდეგობები წყაროებისა და თეორიების კრიტიკულ გამოკვლევებსა და მათი პრაქტიკული მიზნებისათვის გამოყენებას შორის. მაგალითად, როდესაც შესრულებისას ტრადიციულ, ისტორიულ ნოტაციას ვეყრდნობი, არ მანუხებს, ასახავს თუ არა ის ამ ინსტრუმენტის ორიგინალურ ულერადობას. როგორც შემსრულებლებს, ჩვენს გვსურს, გავაფართოოთ ჩვენი რეპერტუარი საინტერესო ნიმუშებით, მათი წარმოშობის მიუხედავად.

მუსიკოსების იმ მცირე რაოდენობას, ვინც ცდილობს, აღადგინოს ბუჩქლი, ეძებს მის ისტორიულ წყაროებს და ქმნის ახალ მუსიკას, უჩნდება კითხვა ამ საკრავზე მრავალხმიანი შესრულების შესაძლებლობის შესახებ. საკითხებს, რომლებზე პასუხის გაცემასაც ემსახურება წინამდებარე გამოკვლევა, პრაქტიკული შინაარსი აქვს: საიმედო წყაროების არარსებობის პირობებში, როგორ მოვახერხოთ მრავალხმიანი შესრულების ორგანიზება? რა შედეგს მოგვცემს ბუჩქლის სპეციფიკური, „ბუნებრივი“ ბგერათრიგის „გაპოლიფონიურება“?

მე ვიკლევ მრავალხმიანობის ორგანიზების ფორმებს ბუჩქლის მელოდიებში, მათ ურთიერთობას ვოკალურ მუსიკასთან, ეჭვქვეშ ვაყენებ არსებული ჰიპოთეზების დამა-

<sup>1</sup> შესაბამისად, ჰარმონიულ სერიაზე დაფუძნებული გამის აღსანენად ვიყენებ ტერმინს „ბუნებრივი წყობა“, ხოლო უხვრელო და უსარქველო საყვირს, რომელზეც შეუძლებელია ბგერების ალტერირება, „ბუნებრივ საყვირს“ ვუწინოდე. ნოტირებისას კი ჰარმონიულ სერიას ვიწყებ ნოტით C.

<sup>2</sup> [www.buechelbox.ch](http://www.buechelbox.ch)

ჯერებლობას ჩემი, როგორც პრაქტიკოსის, თვალსაზრისით. ჩემი მოსაზრებები ითვალისწინებს ინსტრუმენტის შეზღუდულ შესაძლებლობებს, მისი ისტორიული წინაპრების რეალურ წყობას, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იდეალური ჰარმონიული სერიისაგან და, ასევე, შედარებას არსებულ წერილობით წყაროებთან.

### **„ბუნებრივი“ ხმები, ბეგრათრიგები და ალპური გარემო**

ამ ბოლო დროს, იდეამ იმის შესახებ, რომ ალპური რეგიონის ხალხური სიმღერა ხის ქარახსების მახასიათებლებს უკავშირდება, კვლავ მიიყვრო მეცნიერთა და კომპოზიტორთა უურადღება. დღემდე ზოგიერთმა მკვლევარმა მოახდინა ინსტრუმენტის მუსიკალური გამომსახველობის აღრევა წარმოდგენასთან მთიან რეგიონებზე, როგორც ადგილებზე, სადაც ადამიანები ბუნებასთან მჭიდრო კონტაქტში ცხოვრობენ (Heel, 2019:10). ისტორიულად, აქური მუსიკა აშკარა ნაზავია „ბუნებრივი“ ასპექტების, კერძოდ, ხალხური ინსტრუმენტების გადაბერვით შექმნილი „ბუნებრივი“ ჰარმონიების და ალპების მთიან რეგიონებში მობინადრე ტრადიციული მუსიკოსების საცხოვრებელი პირობებისა. ამ მოვლენის სამაგალითო შეფასება მოგვცა გერმანელმა მუსიკოსმა ლუდვიგ კოპლერმა (Köhler, 1820—1886) თავის ტრაქტატში „ენის მელოდია“: „ბუნებრივ ხალხებში, კერძოდ, მთის მაცხოვრებლებში, რომელთა მოკრძალებული გრძნობები შფოთვას მალავენ (მაგრამ ბუნებას გულწრფელად შეჰქარიან), ტკბობა ხმით (გერმანულად Tonschwelgerei), სიტყვების გარეშე, ისე ღრმადადა გამჯდარი, რომ კონკრეტულ მანერასა და ფორმას იძენს. იოდლის შესრულება ისეთი სიამოვნებაა, განსაკუთრებით, მთის სუფთა ჰაერზე დახვეწილი ხმით [...] რადგან ტონიკური და დომინანტური ჰარმონიები ყველაზე მჭიდრო ურთიერთკავშირშია კვინტების პროპორციულობის გამო, ეს აგრეთვე, ხდება ამ ჰარმონიებზე დაფუძნებული იოდლანი სიმღერების განუმეორებელი ბუნებრიობის მიზეზი“ (Köhler 1853:32) (გერმანულიდან თარგმნილია ავტორის მიერ).

ამ მოსაზრების იდეა ისაა, რომ ადამიანები, რომლებიც, ქალაქელის თვალით, ბუნებასთან მჭიდრო კავშირში ცხოვრობენ, განსაკუთრებით „ბუნებრივად“ მდერიან. ეს თვალსაზრისი სავსებით შეესაბამება ზოგიერთი ინტელექტუალის სწრაფვას, დაინახოს სოფელი და მისი ხალხური კულტურა, როგორც უსიამო ქალაქური ყოფისაგან თავისუფალი მოვლენა. „ეს ელემენტარული სწრაფვაა, რომელიც ჩვენს ზეგანათლებულ ეპოქას ხალხური პოეზიისაკენ იზიდავს. ეს ის მიზიდულობაა, რომელიც გვიპიძებს ჩასუთული და ხმაურიანი ქალაქიდან სოფლის სუფთა ჰაერის, სიმშევიდისა და სიმწვანისაკენ ზაფხულში, რათა ბუნების წიაღში აღვიდგინოთ სასიცოცხლო ძალები“ — წერდა ავსტრიელი ფოლკლორისტი იოზეფ ედუარდ ვაკერნელი (Wackernell, 1850-1929) 1890 წელს (გერმანულიდან თარგმნილია ავტორის მიერ).

მთების რომანტიკული წარმოსახევის ამგვარ ფონზე კავშირები სუფთა ჰაერს, ცხოვრების მოკრძალებულ წესსა და ტონების ბუნებრივ თანმიმდევრობას შორის გარკვეული სკეპტიკიზმითაა გამართლებული. ვაკერნელის მიერ აღნერილი ტენდენცია თავისუფლად შეგვიძლია შევადაროთ თანამედროვე მიდგომებს ეკოლოგიური პრობლემებისადმი, სუფთა ჰაერზე განხორციელებული აქტივობების ბუმსა და ქალაქების მჭიდროდ დასახლების კრიტიკასაც კი, რომელიც Covid-19-ის კრიზისმა წარმოშვა.

ამასთან, საურადღებოა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ბუჩქელის ტიპის ალპორნის ტონურმა ბეგრათრიგება გავლენა იქნია მთელ ხალხურ მუსიკაზე. ბოლო წლებში მუსიკოლოგმა აინდრიას ჰიპოთეზა გაავრცელა ეს ჰიპოთეზა სრულიად ევროპულ ხალხურ სიმღერაზე: „ეს ხალხური/პასტორალური მუსიკის კლასიფიკაციის პრობლემა: ბოლო რამდენიმე ასწლეულის მანძილზე მხოლოდ რამდენიმე პროფესიონალმა მუსიკოლოგმა გამოიკვლია ხალხური ინსტრუმენტების თვისებები, წაიკითხა მათი ბუნებრივი ბეგრათრიგის შესახებ და, შესაძლოა, თეორიული სამუშაოებიც ჩაატარა მის გამოსავლენად,

თუმცა, რეალურად, არასოდეს მოუსმენია ის. სწორედ ამიტომ, ისინი ფიქრობენ, რომ ხალხური მუსიკა საეკლესიო კილოებს ეფუძნება, მაშინ, როცა სინამდვილეში, ყოველი ხალხური მელოდია მთავრდება ბუნებრივი და არა დიატონური ბეგრათრიგის შესაბამის ტონზე” (Hirt, 2017b:21). პირტი განავრცობს ამ არგუმენტს და აცხადებს, რომ, დროთა განმავლობაში, დიატონური წყობა დომინანტური გახდა „ბუნებრივთან” შედარებით.

ეჭვგარებენა, რომ არსებობდა დიატონური კილოებისაგან განსხვავებული ბეგრათრიგები. ალპურ რეგიონში ჩემი კვლევების თანახმად, ისინი ნაირგარია და არ ავლენენ უცილობელ კავშირს „ბუნებრივ“ ბეგრათრიგთან. უფრო მეტიც, მუოტატალის ხეობაში (ცენტრალური შევეიცარია) 1936 წელს ჩანერილი იოდლის ანალიზმა აჩვენა ნეიტრალურ ინტერვალებზე აგებული ბეგრათრიგი<sup>3</sup> (Wey, 2020). მიუხედავად იმისა, რომ პირტის ჰიპოთეზა, უდავოდ, საინტერესოა მზეუმსური საყვირებისა და ქარახსების შესწავლისათვის, ბეგრათრიგის ევოლუციის კვლევა, ჩემი აზრით, უფრო ფართო სურათის გვიშლის. XIX საუკუნის მანძილზე მიზანმიმართულად მიმდინარეობდა დიატონური ბეგრათრიგების გაფრცელება სკოლებში სასიმღერო გუნდების შექმნის გზით. თუმცა, შეუძლებელია იმის დაბეჯითებით თქმა, თუ როგორი იყო ეს ბეგრათრიგები მანამდე. სავარაუდოდ, არსებობდა ერთმანეთისგან განსხვავებული ლოკალური ტადიციები, მათ შორის, პარმონიულ სერიებზე დამყარებული ბეგრათრიგები, რომლებიც თანდათან დიატონურმა ჩაანაცვლა. ჩემი ვარაუდით, არსებობები „უცნობი უცხოები“, ბეგრათრიგები და კილოები, რომელთა შესახებ ცნობები არ გვაქვს. ჩემი ვარაუდი ასახულია სურათში 1.

### ციკლური და რადიალური ბეგრათრიგები

ბუჩელის მუსიკა ბუნებრივი ბეგრათრიგის სპეციფიკას შეესაბამება. იბადება კითხვა, რით განსხვავდება თეორიულად ეს ბეგრათრიგი დიატონურისაგან. ბუნებრივ საყვირებზე აღებული ყოველი ნოტი არის ძირითადი სიხშირის მთელი ერთობლიობა, დაწყებული ოქტავის ინტერვალიდან. მაღალი ბეგრები უფრო ახლის არიან ერთმანეთთან, ვიდრე დაბალი. ძირითადი, სტრუქტურული განსხვავება ბუნებრივ და დიატონურ წყობას შორის, კომპოზიტორ ჰულანდის (Ruland, 1934–2017) სიტყვებით, არის მათი „ციკლური“ და „რადიალური“ ხასიათი. დიატონური ბეგრათრიგი ციკლური სტრუქტურისაა, ბუნებრივი კი — რადიალური. ციკლური ბეგრათრიგის საკვანძო ელემენტი განმეორებადობა. ყოველი ოქტავა შეგავს საფეხურებს შეიცავს; ხოლო რადიალური ბეგრათრიგი ერთი მიმართულებით გრძელდება და მუდმივად ცვალებადი ინტერვალებისაგან შედგება, რომელთა მონაცვლეობა სიხშირეების გარკვეულ თანაფარდობას ეფუძნება (1:2, 2:3, 3:4, 4:5, ...). აქ არაფერი მეორდება, ყოველი ინტერვალი უნიკალურია. რულანდი ასე აღნერს განსხვავებას ორ წყობას შორის: ციკლური ბეგრათრიგი ერთნაირი ინტერვალებისგან შედგება და ყოველი ტონიდან შესაძლებელია წმინდა კვინტის აგება (Ruland, 1988: 76). მაშინ, როცა რადიალურ ბეგრათრიგში (მაგალითად, ალპური ქარახსის შემთხვევაში), პირქით, ტონიდან ტონამდე მუდამ სხვადასხვა ინტერვალი წარმოიქმნება: სხვადასხვაგვარი სეკუნდა, ტერცია და ა.შ. (იქვე: 77). რულანდი, რომელმაც არაერთი ნაშრომი შექმნა ოპერტონული მიმდევრობების საფუძველზე, გვთავაზობს ციკლური და რადიალური ბეგრათრიგების საკუთარ მოდელებს (სურ. 2).

<sup>3</sup> ნეიტრალური ინტერვალები მაჟორულ და მინორულ ინტერვალებს შორისაა მოქცეული. მაგალითად, ნეიტრალური სეკუნდა 150 ცენტისაგან შედგება (მოქცეულია 100 ცენტისაგან შემდგარ მინორულ სეკუნდასა და 200 ცენტისაგან შემდგარ მაჟორულ სეკუნდას შორის).

წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია განსხვავება ბერძნული და ქართული სიტყვების:

ციკლური, ანუ დიატონური ბერძნული და ქართული სიტყვები	რადიალური ბერძნული და ქართული სიტყვები
საკრავები, რომლებიც აწყობილია მათი შემქმნელების ან შემსრულებლების მიერ	საკრავები, რომლებზეც უკრავენ გადაბერვით, ბერძნის სიმაღლის შეცვლა შეუძლებელია
იძლევა მელოდიების ტრანსპონირების საშუალებას (Hirt. 2017: 73)	ზუსტი ტრანსპონირება შეუძლებელია (გამონაკლისი: ერთი ოქტავით მაღლა)
იმეორებს გამას ყოველ ოქტავაში	არავითარი განმეორებადობა ბერძნულის ფარგლებში
წყობა შესაბამისობაშია ინსტრუმენტის დამზადებასთან	წყობა უახლოვდება ჰარმონიულ სერიას (სიხშირეების თანაფარდობა 1:2, 2:3, 3:4, ...)

ბუნებრივი წყობის ბერძნული რაოდენობის გამო, შეზღუდულია მისი მრავალმხიანი შესრულების შესაძლებლობაც. ბერძნული რაოდენობის ზედა საზღვარზე მდებარე ბერძნული შესრულება შემსრულებლის უნარებზეა დამოკიდებული, თუმცა, ობერტონების რიგი 12-მე საერთოა. 10-ბერძნიანი რიგი 3-დან 12-მდე ობერტონამდე ორ ოქტავას მოიცავს. მათ შორის ქვედაში მხოლოდ მაჟორული ტრიადის შესრულების შესაძლებლობაა ( $g-c'-e'-g'$ ). ზედა ოქტავაში კი ოდნავ დადაბლებულ სი-ბერძოლს + ტეტრაქორდი  $c''-d''-e''-f''$ , მივყავართ ზედა  $g''$ -სთან. მაგალითი 1 დაწვრილებით აღნერს გამას, თანაბარი ტემპერაციიდან ყოველი ნოტის გადახრის დეტალიზებით. მე-7 და მე-11 ობერტონების გარდა, განსხვავებები მინიმალურია, ზოგიერთი მათგანი ჩვენს სტენით საზღვარზე დაბლაა. აღნერილი ბერძნული გურგლებში ბუჩქლს მაჟორული აკორდების წარმოების შესაძლებლობა აქვს. უსარქველო საყვირებისა და ქარახსების ამ თავსებურებამ ხელი შეუწყო მაჟორული სამხმოვნების, როგორც ალპური რეგიონის ტრადიციული მუსიკის „ბუნებრივი“ ფუნდამენტის იდეის აღმოცენებას.

### წატურალური საყვირები სულაც არ ქმნის ზუსტ თბერტონულ სერიებს

თეორიული საფუძვლის არსებობის პირობებში, კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, თუ როგორ ჟღერდა ბუნებრივი გამა რეალურ ინსტრუმენტებზე, განსაკუთრებით დიატონური ბერძნული წატურალური აღმასვლის პერიოდამდე. ბოლო დროს ინსტრუმენტების კონსტრუქციულმა დახვეწამ თბერტონული სერიების თითქმის სრულყოფილ ინტონაციებამდე მიგვიყვანა. თუმცა, ჩვეულებრივ მიღწეული ჩაბერვითაც კი შესაძლებელია იმის დემონსტრირება, რომ ესა თუ ის ტრიი გადახრილია იდეალისაგან. მაგალითად, განსხვავება პირველ ორ ობერტონებს შორის იშვიათადაა წმინდა ოქტავა.

ისტორიული ინსტრუმენტების მუსიკალურ-არქეოლოგიური ანალიზი ბუნებრივი საყვირების პრაქტიკული წყობის გამოვლენის საშუალებას იძლევა. მცირე გადახვევის სახით, მოვიხმობ ანალიზს, რომელიც ჩავატარე ჩვენამდე შემორჩენილი ორი, ყველაზე ძველი საყვირის ჩანაწერების საფუძველზე. ესენია: ძველებევგიპტური ლითონისა და ვერცხლის საყვირები ტუტანჰამონის სამარხიდან. მათი ერთადერთი ჩანაწერი შეასრულა ბრიტანელმა სამხედრო მუსიკოსმა ჯეიმს ტაპერინმა 1939 წელს (Finn, 2011). ანალიზმა აჩვენა, რომ მანძილი მეორე და მეოთხე თბერტონებს შორის ოქტავაზე სამი მეოთხედით

<sup>4</sup>  $f''$  ამ შემთხვევაში ამაღლებულია მეოთხედი ტონით (იხ. მაგ. 1).

ნაკლებია. შესაძლოა, ეს არაა შესაბამისობაში ორიგინალურ შესრულებასთან, რადგან ეს ინსტრუმენტები ცერემონიალურზე უდერდა და, ალბათ, მათზე მხოლოდ ერთი სიმაღლის ბგერას გამოსცემდნენ. მუსიკალურ-არქეოლოგიური არტეფაქტების დამატებითმა კვლევებმა შეიძლება შეგვივიწნას წარმოდგენა ამ ისტორიული ინსტრუმენტების რეალურ უდერადობაზე. პრობლემა ისაა, რომ არტეფაქტების შენახვის წესებში იშვიათადაა დამვებული ასეთ ინსტრუმენტებზე დაკვრა. შევეიცარული ალპპორნების აკუსტიკურმა კვლევებმ XIX ს-სა და XX საუკუნის დასაწყისში გვიჩვენა მნიშვნელოვანი ინტონაციური გადახრები მათ დაბალ რეგისტრში (Amman et al., 2019: 166). ამ დაკვირვებიდან გამომდინარე, პრაქტიკაში ობერტონული სერიიდან გადახრა შეიძლება იყოს ბევრად დიდი, ვიდრე განსხვავება ბუნებრივი და დაიატონური წყობის ინტონაციებს შორის.

XX საუკუნის პირველ ნახევარში ინსტრუმენტების წარმოების განვითარებამ ალპპორნებისა და ბუჩქლების სტანდარტიზაციასთან მიგვიყენა (სურ. 2, Wey and Kammermann, 2020: 80). ალპპორნის ოსტატებმა, ჰარმონიული სერიების იდეალის ძიებაში, შექმნეს კონსონანსური მრავალხმინობის შესრულების პოტენციალის მქონე განვითარებული ინსტრუმენტები. თუმცა, მანამ, სანამ ანსამბლური შესრულება პოპულარული გახდებოდა, ზუსტი ინტონაცია ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. იგივე შეიძლება ითქვას საკრავის ძირითად წყობაზე. სოლო, სასიგნალო ან საკომუნიკაციო ფუნქციის ინსტრუმენტი არ მოითხოვდა რამე სახის ნორმატიულ წყობას. მრავალხმიანი შესრულება კი პოპულარული გახდა 1970 წლიდან, როცა ალპპორნის შემსრულებლებმა დაიწყეს ჯგუფების შექმნა სამი და მეტი ადამიანისგან (იქვე, 83).

### **ბუჩქლის მრავალხმიანი მუსიკის პარამეტრები**

არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ჩვენ შევაგროვეთ და გამოვეცით 47 ნიმუშისაგან შემდგარი კოლექტია ბუჩქლისათვის (Streiff & Wey, 2020). ამ და სხვა ისტორიული წყაროების მიხედვით, გამოვყოფილი პირველი და მეორე ხმის ურთიერთობის სამ ძირითად ტიპს. ყველა ნიმუში იწყება სოლო მელოდიით — ისე, როგორც ტრადიციულად უკრავდნენ; განსხვავება ხმებს შორის კლინდება მეორე ნაწილში.

პირველი ტიპის ილუსტრირება შესაძლებელია ერთ-ერთი ყველაზე ადრეული მრავალხმიანი ნოტაციით შვეიცარიის ალპური რეგიონიდან. მაგალითი 2 იოდლის მელოდიის ნოტირების ნიმუშია (ca. 1800) ორმაგი ბაზის თანხლებით დაბალ რეგისტრში. მელოდია ადაპტირებულია ნატურალური საყიდებისათვის (6-11 ტაქტები ტრანსპონირებულია ოქტავით მაღლა). თავდაპირველად, როგორც ჩანს, მელოდია იმღერბოდა, აკომპანემენტი კი შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორც ვოკალური, ისე — ინსტრუმენტული. ორიგინალურ ნოტში ჩანს ზუმერით თანხლებული ერთი მელოდიური პარტია მითითებული ტემპით “langsam” (ნელა) და ტექსტით: “imer der gleiche Baß, wie die Leyer [...]” (ერთი და იგივე ბაზი, არღნის მსგავსად) (cf. Fink-Mennel, 2011:167). ალსანიშავია, რომ მანძილი პირველ და მეორე ობერტონს შორის (ამ შემთხვევაში, ბურდონი) ნატურალურ საყიდებზე ოქტავს აღემატება. ამიტომ, ბურდონის თანხლება არ იქნება ისეთი შეწყობილი, როგორც ნოტები გვიჩვენებს.

ამჟამად ყველაზე გავრცელებული ხმათა შეწყობის მეორე ტიპია. მეორე ხმა წამყვანს შეიძლება დამატოს ქემოდანაც და ზემოდანაც, ანდა სულაც გადაკეთოს იგი. თუმცა, ქვედა რეგისტრში შესაძლებელი ბგერების რაოდენობა იზლუდება, ხოლო ზედა რეგისტრში შესრულება ტექნიკურად რთულდება. ქვედა რეგისტრის შევსებას ხშირად მივყავართ ტონის შეცვლასთან ტერციით, კვინტით ან სექსტით<sup>5</sup> (მაგ. 3) (Balthasar Streiff, 2020). ეს ვარიანტი ახლოსაა იდიომატურ სასაყვირე მუსიკასთან; ამასთანავე, შეეს-

<sup>5</sup> ჩანაწერი: <http://y2u.be/wxQJHYINHnM>, 20.07.2020.

აპამება მეორე ხმის ულერადობას იოდლის მრავალ მელოდიაში. შეეიცარის ალპებში მრავალხმიანი იოდლი წამყვან ხმასთან ერთად მოიცავს ერთ ან ორ თანმხლებ მელოდიას, ერთი მიჰყვება წამყვანს ტერციის ან სექსტის ინტერვალით, მეორე კი გუნდის ბანს წარმოადგენს.

მესამე ტიპში, წაცვლად იმისა, რომ თანმხლები ხმა წამყვან მელოდიას იმავე რიტმში გაჰყვეს, წელა მოძრაობს დაბალ რეგისტრში. თანხლების ეს ტიპი შესაფერისია იმპროვიზაციისათვის, რამეთუ, შესაძლებელია, მიჰყვე პირველ ხმას ისე, რომ არ იცოდე ზუსტი მელოდიური და რიტმული თანმიმდევრობა. თუმცა, უნდა დაუტოვო სივრცე სოლო შემსრულებელს მოკლე პასაჟებისთვის. მაგალითი 4 წარმოადგენს ბუჩქლის ორი შემსრულებლის დუეტის ორიგინალური ვერსიის ტრანსკრიფციას (ჩანერილი და ნოტირებულია ანდრე ვეის მიერ 2001 წელს).

ეს სამი ფორმა არ ქმნის ამომწურავ სურათს. მაგალითები გვიჩვენებენ პოლიფონის შექმნის შესაძლებლობებს არამარტო დუეტების გამოყენებით. იმავე პრინციპით, შესაძლებელია მესამე და მეოთხე ხმის დამატებაც. აღსანიშნავია კიდევ ერთი ფორმის — უნისონში შესრულების გამოყენებაც. თუმცა, ამ შემთხვევაში, ინტონაციების მიკროტონალური გადახრები ხმოვანებას უხეშსა და არასტაბილურს გახდის. არანაკლებ საინტერესო იქნება შემსრულებელთა მიერ სოლო მოტივების მონაცვლეობით შესრულება. შესრულების ამგვარი ხერხი ასახავს იდეას, რომლის მიხედვით, ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელია ორი ან მეტი ადამიანის კომუნიკაციისათვის.

### დასკვნები

ობერტონების სერიების, როგორც „წატურალური ტონების ბეგერათრიგის“ აღქმა დაკავშირებული იყო წარმოიდგენებითან ალპურ ლანდშაფტზე, როგორც განსაკუთრებულად ბუნებრივ თავშესაფარზე. მართალია, ეს ასოციაცია საეჭვოდ მოჩანს პრაქტიკაში, მან გავლენა იქნია ბუჩქლისთვის შექმნილი მუსიკის აღქმაზე. ამ მუსიკის სანოტო ჩანაწერები ძალიან მნირია, თუმცა, მრავალხმიანი შესრულების შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა. აյ არ გვხვდება მოტივთა ტრანსპონირება ან რთული პარმონიული განვითარება კლასიკური გაგებით. რადიალური ბეგერათრიგის თავისებურებები ავტომატურად ამარტივებენ დაბალ ხმას, რადგან იგი აუცილებლად შეზღუდული რაოდენობის ბეგერებს ემყარება. გარდა ამისა, პირველ მაგალითში წაჩვენები ნოტების შეზღუდვა ქმნის მელოდიური და პარმონიული თანმიმდევრობების მკაცრ ვარიანტებს. მაგალითად, კლასიკური პარმონიული სქემა (I – IV – V) სრულად ვერ რეპროდუცირდება. ამასთან, რადგიალური ბეგერათრიგის ინტერვალები ენინაალმდეგებიან სხვადასხვა ტონებისგან შემდგარი აკორდების თანმიმდევრობას. თუმცა, ჩვენი სტენის მიერ აღქმად განსხვავებას ბუნებრივსა და დიატონურ ბეგერათრიგს შორის, ხშირ შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა. განხილულ ნიმუშებს შორის იკვეთება მრავალხმიანი შესრულების სამი ტიპი: (1) თანხლება დაბალი ბურდონული ნოტებით, (2) მეორე ხმა, რომელიც პირველს მიჰყვება ტერციის, კვინტის ან სექსტის ინტერვალით ქვემოდან იმავე რიტმში და (3) შედარებით მარტივი მეორე ხმა, რომელიც ნელა, ნაბიჯისებურად მიჰყვება წამყვან ხმას.

**თარგმნა მაკა ხარძიანმა**